№ 219

კვირა, 8 ოქტომბერი, 1900 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 219

კვირა, 8 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კნ. ანასტასია ილიას ასული და თ. ალექსანდრე ივანეს ძე ლეონიძე გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა საყვარლის ასულის

**ანეტასას.**

დაკრძალვა მიცვალებულისა კაცხის მონასტრის საგვარეულო აკლდამაში დანიშნულია კვირას, 8-ს ოქტომბერს.

(2—201—2)

ქვრივი ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვისა ელისაბედ გ-იგოლის ასული სულხანოვისა ამით აცხადებს, რომ ვისაც კი დღემდის მისის ქმრის, ავეტიქ სულხანის ძის, რწმუნების ქაღალდები (довѣренность) ჰქონდათ, ამიერიდგან გაუქმებულია. (4—200—4)

## ტფილისის პერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარქევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი პერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათამდე.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 17 ოქტომბრისათვის გამგეობის სადგომში დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

განუმეორებლად, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქუთაისის ხიდების გადასახადის მოკრება ორის წლის ვადით 1901 წლის 1 იანვრიდგან.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს 200 მან. ნაღდი ფული ან ბანკის ბილეთები და ან სარგებლიანი ქაღალდები. ეს ფული დარჩება ქალაქის სასარგებლოდ, თუ ვინიცობაა მოიჯარადრე არ შეჰკრავს პირობას, ანუ და არ წარმოადგენს ბეს ერთი თვის იჯარით შემოსატანს ფულს.

ვაჭრობა იქმნება როგორც სიტყვიერი, აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებებით; ვაჭრობა დაიწყება 12 საათიდგან და გაგრძელდება ორ საათამდის. პირობების განხილვა შეიძლება გამგეობაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდე ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა.

(3—ნ.—3)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 8 ოქტომბერს, სოფ. მცხეთაში მწირველი იქმნება ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი მ. გერმოგენი, რომელსაც თან მიჰყავს მეექვსე კლასის ყველა მოწაფენი. წირვაზედ სემინარიელები იგალობებენ ქართულადა და რუსულად. წირვის შემდეგ მ. რექტორს განზრახვა აქვს მოწაფეებთან ერთად დაათვალიეროს მცხეთის ყველა შესანიშნავი ადგილები და მოწაფეებს დაწვრილებით გააცნოს.

*** როგორც ფოთიდგან დეპეშით გვატყობინებენ, გუშინ-წინ, 6 ოქტომბერს, ქ. ფოთის მოურავის მოადგილედ ხმის უმეტესობით, 19—4 წინაალმდეგ, იაკობ ფანცხავა ამოურჩევიათ.

*** 1901 წლის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საიუბილეო გამოფენაზედ, სხვათა შორის, გარდაწყვეტილია გაზეთიც გამოსცენ, რომლის შედგენა, აოწყობა, კორრექტურა და სხ. გამოფენის დამთვალიერებელთა თვალ წინ უნდა ხდებოდეს, რომ ამითი ყველამ კარგად გაითვალისწინოს, თუ ასის წლის შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ბეჭდვის საქმემ რამდენად წინ წაიწია კავკასიაში.

*** კავკასიურ მუზეუმის დირექტორი გ. ი. რადდე გერმანიის ორნითოლოგიურს (ფრინველთა მომშენებელს) საზოგადოებას თავისს საპატიო წევრათ აურჩევია.

*** სწორედ სასიამოვნოა, რომ ქართველი ახალგაზრდა ქალები თუ კაცები თანდათან მეტს შრომისა და ცოდნის მოყვარეობას იჩენენ და ნიჭ-ც საკმაოდ შესწევთ. ეს არის შევიტყეთ, რომ ტფილისის დედათა პირველს გიმნაზიაში ფრანგულის ენის მასწავლებლად დაუნიშნიათ ქართველი ქალი ოლგა ივანეს ასული მირზაშვილისა.

*** უკანასკნელს სამეტეოროლოგო კრებაზედ ლაპარაკი აღძრეს თურმე იმის შესახებ, რომ ხალხის თქმულობათა ცნობები შეიკრიბოს ამინდის შესახებ და ეს საგანი რუ-

## ფელეტონი

### რაზედ ვხარჯავთ ძალას?

(ჩვენის ცხოვრების ზოგიერთი სურათი)

(დასასრული *)

ამ მხრივ მართლა საყურადღებოა ქიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა წრევანდელი კრება. აქ უფრო ცხადად გამოჩნდა ამ ვაჟბატონების უკბილო მოქმედება და უკადრისი საქციელი, რომელზედაც მაინც აუარებელი ძალა დაიხარჯა და იხარჯება, იმდენი ძალა იხარჯება, რამ დენითაც, ვინ იცის, რაოდენი რამ გაკეთდებოდა ჩვენში, ეს ძალა რომ ზეცით მონაბერი ყოფილიყო. ჩვენში არ განმტკიცებულა ჯერ ნება და ხასიათი, რაც ნაყოფია ნამდვილის აღზრდისა, ნამდვილის თვალთახედვის ისარის შეთვისებისა. ეს გარემოება იმის მიზეზიც არის, რომ ჩვენში გადაჭარბებული მისწრაფება არსებობს დანაშაულის ჩადენისა. განა შეგვიძლიან ვთქვათ, რომ დანაშაულობა არ იყოს სხვაგან, თვით ევროპაშიაც თვალ საჩინო მოვლენაა მისწრაფება დანაშაულის ჩადენის მიმართ, მაგრამ ჩვენში ეს მისწრაფება რაღაც ფლიდისა და წვრილმანის ხასიათისაა. ეს დანაშაულობა თავს იჩენს ჩვენში ყოველ გვარ სიყალბის ჩადენით, რადგან დიდი სურვილი არსებობს ქონებისა და ხშირად წოდებრივ უფლებათა შეძენისაც-კი. ჩვენში ხშირია დანაშაულობა სხვისის პირადობის შეურაცხებისა. ეს ასეა, მაგრამ რა უნდა ს. ქვარიანს, რომლის გაუთავებელმა ბაასმა კრების დროს ლამის ყურები გამოუყრუა მსმენელთ, რა უნდა თვით უცნაურს მკურნალს, ზოგიერთ უცნაურს დიპლომიანებს, რომელთა უხეიროდ საქმეში გარევამ ცოტად არ დაგვაფიქრა და შეგვარცხვინა. რად ასტეხეს ამ ადამიანებმა და ბევრმა სხვებმა შავი-ქვის მრეწველთა კრებების დროს ამდენი აურ-ზაური, დაგვიწუნეს ბ-ნი ზდანოვიჩი, რომელმაც ღონეც ბევრი დაჰხარჯა, პატიოსნებაც ბევრი გამოიჩინა და არარაობას სული ჩაუდგა. რად ვერ მიხვდება ეს ჩვენი ახალგაზრდობა, რომ მოღვაწე უნდა იქმნას აწონ-დაწონილი, ყოველ მხრივ შედარებული უნდა იყოს სხვასთან, რომელიც შესაძლოა არჩეულ იქმნას, და თუ აღმოჩნდა, რომ ამ საზოგადო მოღვაწეს საზოგადო დაწესებულებისათვის მართლა სასარგებლო თვისება აქვს, რატომ არ ეპიდება ამ მოღვაწეს და არ ირჩევს ხელმეორედ. სად არის თვალთა მხედველობა, გონების მჭვრეტელობა იმის მისახვედრად, რომ დღეს, მეტადრე დღეს, თეორიულ ცოდნასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ცოდნასაც და ჯერ-ჯერობით ჩვენ მარტო ორი კაცი-ღა გვყავს ამ მხრივ ცნობილი: ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და იმის შემდეგ ბ-ნი გ. ზდანოვიჩი, რომელნიც უცხო-ქვეყნელთათვისაც-კი ამ მხრივ თვალ-საჩინონი არიან, ჩვენი შფოთიანი ვაჟბატონები-კი ვიღაცას ეძებენ. ეს ვაჟბატონები მაშინ მაინც უნდა შეძრწუნებულიყვნენ, მაშინ მაინც უნდა ალაპარაკებულიყო მათში მიმალული პატიოსნება, როდესაც დაინახეს სცენაზედ თვისდა უნებურად, ძლივ-ძლივობით ორის კაცის წყალობით ამოყვანილი, ფეხმოტეხილი, მგმინავი და მკვნესავი ადამიანი, მხოლოდ იმისთვის, რომ შავი კენჭი ჩაეგდო იმ კაცისათვის, რომელმაც ჩვენში, ნამდვილის ადამიანებით ღარიბს ქვეყანაში, საკმარისი სახელი მოიხვეჭა საქმის ცოდნით, განვითარებითა და საზოგადო საქმის სიყვარულითაც.

ამ ვაჟბატონებმა საოცარი ხმა გაავრცელეს, ვითომ თვით ნ. ნიკოლაძეც მსურველია გაერიოს ამ საქმეში და კენჭი იყაროსო. საქმე გამოირკვა: ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ დეპეშით განაცხადა, რომ არ მაქვს სურვილი მაგ საქმეში გარევისაო: მაშინ ამ ვაჟბატონებმა ხმა გაავრცელეს, რომ ბ-ნ ნიკოლაძისაგან დეპეშა მოგვივიდა, რომლითაც იგი თანხმობას აცხადებს თავმჯდომარედ არჩევისასო. ამ ამბავმა შეჰქმნა ერთი შფოთი, გაოცება, საქმის არევ-დარევა და მანვე კინაღამ დაჰბადა ყოვლის პატიოსან კაცისათვის არა-სასურველი უსიამოვნება ორ მოღვაწეს შორის, რომლებსაც ერთმანეთისათვის არა დაუშავებიათ-რა. განა მოსაწონია ეს და ან შესაძლებელია იქ, სადაც ცოტაოდნად მაინც არის უანგარობა საზოგადო საქმეში ჩვენა გვგონია, რომ არა.

ამ გვარ საქმეს მარტო ერთი შედეგი რომ მოსდევდეს, მაშინ ვინ იტყოდა რასმეს; ახალის ვისსამე ამორჩევა და საქმის ცუდად წაყვანა კიდევ ადვილად მოსანელებელია, მაგრამ საქმის ცუდად წაყვანას ჩვენში სხვა ცუდი შედეგიც რომ მოსდევს, ეს ხომ ძლიერ ცუდია და ცუდი. ჯერ ამისი სიცუდე ის არის, რომ საზოგადოდ ძლივ-ძლივობით მიდის ჩვენი ყოველი საზოგადო საქმე ჩვენის ცოდნისა და გამოცდილების სიმცირის წყალობით, რა თვისებისაც უნდა იყოს ეს საზოგადო საქმე: აბრეშუმის და თამბაქოს მოყვანა, დეპოს და ბანკების დაარსება, ქვანახშირის საქმის წარმოება და ბევრი სხვა. გარდა ამისა, ჩვენ ჩვენშივე ყოველის მხრივ უფრო ძლიერი მეტოქეები გვყავს, რომლებიც ადვილად დაგვჯაბნიან ეკონომიურად, კინკლაობითაც რომ არ დავიწყოთ საზოგადო საქმეები სხვები ისედაც კრიტიკულის თვალით გვიყურებენ, ვართ თუ არა საზოგადო საქმისათვის მომზადებულნი. შავი-ქვის მრეწველთა ეხლანდელი კრებების თავმჯდომარეს, როგორც გვესმის, კიდეც გამოუთქვამს სურვილი, სხვათა შორის, სამინისტროს ის მოსაზრება წარუდგინოს, რომ ჩვენი მწარმოებელნი

*) იხ. „ივერია“ № 218.

სეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოებას გადასცენ სისრულეში მოსაყვანად. ახლა, როგორც რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებიდგანა სჩანს, აღნიშნულ საზოგადოებასთან შემდგარა განსაკუთრებული კომისსია, რომელსაც მინდობილი აქვს შემუშავება ამ საგნისა. კომისიის წევრებად არჩეულნი არიან: ი. ი. ბრაუნოვი, ა. მ. ვოეიკოვი, დ. ნ. კაიგოროდოვი, გ. ა. ლიუბოსლავსკი, მ. ა. რიკაჩევი, ს. ა. სოვეტოვი და ი. ბ. შპინდლერი და საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილების წევრები: დ რი კლემენსი, ვ. ს. ლამანსკი, პ. ნ. ლუპპოვი და ს. ვ. მაქსიმოვი. კომისსიას გარდაუწყვეტნია შეჰკრიბოს ამინდის შესახებ ხალხის თქმულებათა სალიტერატურო მასალა და აგრეთვე შეიმუშავოს ახალი პროგრამმა იმის შესახებ, თუ აღნიშნული მასალა თვით ხალხში როგორ უნდა იკრიბებოდეს.

ეჭვი არ არის, დიდად სასარგებლო და საჭიროა ვისაც-კი შეუძლიან ჩვენშიაც მოჰკრიბოს ასეთი მასალა, ან-თუ მოკრებილია, ითავოს ვინმემ შეიმუშავოს, გადასთარგმნოს და აღნიშნულს კომისსიას გაუგზავნოს, რომელიც დიდის მადლობით მიიღებს, და ჩვენც ამით უკვდავს ვყოფთ ამინდის შესახებ ჩვენი ხალხის თქმულებათ, რომელთა რიცხვიც მრავალი უნდა იყოს.

⁂ იმავე საზოგადოების ცნობებით, ამ წლის აპრილში ბ-ნს ნ. ი. მარრს პეტერბურგის საარქეოლოგო საზოგადოებაში წაუკითხნია მოხსენება „საქართველოს ღმერთთა შესახებ კერპობის დროიდგან“. კერპებს ჰმსახურებდნენ თურმე ქართველები ალექსანდრე მაკედონელის დროიდგანვე, რომელმაც მნათობთა თაყვანისცემა აღუკრძალა. ღვთაებათა კულტი გადმოიღეს ზოგი ბერძნებისაგანა და ზოგიც სპარსელებისაგან და სულ 17 ღმერთს იხსენიებს ისტორია.

⁂ ხვალ, 9 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს მორიგს კრებაზედ განსახილველად დანიშნულია სულ 24 საქმე. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის გამგეობის 1896 და 897 წლის მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენებას; ამა 1900 წლის ქალაქის თვით-მართველობის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვას და სხ.

⁂ ქალაქის გამგეობას უკვე დაუსრულებია მომავალის 1901 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და მალე საბჭოს თურმე წარუდგენს. ხარჯთ აღრიცხვის პროექტით ქალაქის უძრავ ქონებიდგან (დასაფასებელს) გარდასახადს მოელიან 467697 მან. (8,118 მან. მეტს, ვიდრე წრევანდელ 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იყო გამოყვანილი), სავაჭრო და სამრეწველო საბუთის ქაღალდებისას—125,057 მან. (წრევანდელთან შედარებით 3,056 მან მეტს), კერძო კაცების ეტლებისა და ცხენებისას—33,942 მან. (2,990 მან. მეტს), სხვა-და-სხვა გარდასახადს—20,702 მან., ქალაქის მამულებისა და სხ.—72,396 მან. (7,176 მ. მეტია), ქალაქის სახლებიდგანა და დაწესებულებათაგან 435,559 მან. (1900 წელთან შედარებით 32,201 მან. მეტს), ქალაქის ფულით შემწეობისა და დასაბრუნებელ ხარჯისას—142,000 მან. (22,070 მან. მეტს) და სხვა-და-სხვა შემოსავალს—27416 მან. (შარშანდელთან შედარებით 4,493 მან. მეტს). ამ რიგად მომავალის 1901 წლის შემოსავალი შეადგენს სულ 1,325,209 ნან., ე. ი. წრევანდელთან შედარებით 80,418 მან. მეტს.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ კერძო სასწავლებლებში მსახურ მასწავლებლებს, რომლებსაც შინა მასწავლებლისა ანუ აღმზრდელის უფლება აქვთ, მაგრამ საკლასო თანამდებობა არ უჭირავთ და არც რაიმე ხარისხი აქვთ მიღებული, თუ რომ დღემდის ვიცმუნდირი უტარებიათ, ამას იქით შეუძლიანთ ახალის ნიმუშის სერთუკი ატარონ, მაგრამ მხრებზედ-კი ნიშნები არ უნდა ჰქონდეთ დაკერებული.

⁂ 2 ამ ოქტომბერს მომხდარა სხდომა კავკასიის სამოსწავლო ოლქის საბჭოსი, რომელზედაც მეოთხედ მოუწონებიათ როგორც საკლასო სახელმძღვანელო ბ-ნ გოგებაშვილის „Русское Слово“-ს პირველი ნაწილის მეშვიდე გამოცემა და მეორე ნაწილის მეექვსე გამოცემა. მეშვიდე გამოცემიდგან უცვლელად არის გადმობეჭდილი მერვე გამოცემა პირველი ნაწილისა, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა და ისყიდება. მეორე ნაწილის მეექვსე გამოცემაკი ჯერ არ გამოლეულა.

⁂ კავკასიის სამთო მრეწველთა და კავკასიელ ინჟინერთა თხოვნისა თანახმად, მიმდინარე წლის აგვისტოდგან კავკასიის სამთო სამუშაოთათვის შემოღებული ახალი წესები ისევ თურმე გაუუქმებიათ, როგორც გაზ. „Сѣверн. Курьеръ“-ი იწერება.

---

### ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

7 ოქტომბერი.

გუშინ, 7 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელის გენერალ-მაიორის ი. ვ. საგინაშვილის თავმჯდომარეობით. კრება დაიწყო დილის 10 საათსა და 50 წუთზედ. პირველად ფიცი მიაღებინეს ყველა იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც წელს თავად-აზნაურთა საზოგადო მორიგ კრებას არ დასწრებიან. შემდეგ ფეხზედ წამოდგომით კრებამ მოისმინა უმაღლესად სახელდებული ბრძანება მიწის ძველ გარდასახადის პატიების და ახალის შეღავათის შესახებ, რომელიც უკვე დაბეჭდილი გვქონდა ჩვენს გაზეთში. კრებამ, მოისმინა რა ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანება, ერთხმად დაადგინა: მიართვან მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას თავად-აზნაურთა სახელით ადრესი და უქვეშევრდომილესი მადლობა განუცხადონ ასეთის წყალობის ბოძებისათვის.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ტფილისის გუბერნატორისაგან მოწერილი ქაღალდი, რომლითაც, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ უკანონოდ იქმნა ცნობილი, როგორც გუბერნიის წინამძღოლისა, ისე მისის კანდიდატისა და აგრეთვე სიღნაღის მაზრის წინამძღოლის კანდიდატების არჩევანი. კრებაზედ კამათი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თავმჯდომარე პირდაპირ შეუდგა არჩევანებს. თავ. ვ. გ. მაჩაბელმა და ზოგიერთმა სხვებმაც განაცხადეს, რომ უმჯობესი იქნება ჯერ საქმეები განვიხილოთ და მერე შევუდგეთ არჩევანსაო, რადგანაც ყოველთვის კრებაზედ ასეთი წესი იყო ხოლმეო. ამის პასუხად დაასახელეს 150 მუხ. კანონთა კრებ. მე-IX ტ., რომლის ძალითაც საგანგებო კრებას შეუძლიან განიხილოს მხოლოდ ის საგნები, რომელთათვისაც მოწოდებულიაო. შეუდგნენ ჯერ სიღნაღის მაზრის წინამძღოლის კანდიდატების არჩევას. ამორჩეულ იქმნენ თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი (21 ხმით წინააღმდეგ 1 ხმისა) თ. მ. რ. ვაჩნაძე (18 თ. 4 შ.) და მ. ვაჩნაძე (13 თ. 10 შ).

შემდეგ შეუდგნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის და მისის კანდიდატის არჩევანს. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ თითქმის ერთხმად დაასახელეს მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი, სტატსკი სოვეტნიკი თავ. დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი და კანდიდატად დ. ე. ჩოლოყაშვილი. პირველად კენჭი უყარეს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს, რომელიც ამორჩეულ იქმნა 99 ხმით ერთის წინააღმდეგ. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს კანდიდატის თანამდებობაზედ ამოუვიდა 79 თეთრი და 21 შავი. თავ. მელიქიშვილის არჩევას დიდის აღტაცებით და ტაშის ცემით მიეგება კრება. თავ. მელიქიშვილმა მადლობა გარდაუხადა კრებას შემდეგის სიტყვებით: „დიდად ვმადლობ თავად-აზნაურობას ყურადღებისათვის და თუ მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაამტკიცა თავად-აზნაურთა არჩევანი, ყოველსავე ღონეს ვიხმარ გავამართლო ნდობა თავად-აზნაურობისაო“. კრება ტაშის ცემით მიეგება თავ. მელიქიშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

---

### ქართველს მშობლებს.

კარგად მოგეხსენებათ რა შესაბრალისს და უნუგეშო მდგომარეობაში ვტვავით დღითი-დღე ქართველი მშობლები ჩვენის საყვარელის შვილების—ქალებისა და ვაჟების. სწავლა-აღზრდის ერთობ გაძვირებით და გაძნელებით საქმე იქამდე მივიდა, რომ სტა, სიმართლით, სამოცდე მანეთის დახარჯვით თვეში ითლად უნდა მიდიოდეს მშობელი შვილის სწავლების საქმეში, ათი და ოცი მანეთის დახარჯვითაც ვერასა ვხდებით და ვართ ერთს მწუხარებასა და ვაებაში შვილების უსწავლელობის შემყურე! დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეულის ჩვენის შვილის სწავლა-აღზრდა ორ-სამ მანეთზედ ზევით არ დაგვიჯდებოდა თვეში, ჩვენ რომ მცირეოდენი თაოსნობა, ერთობა და შეგნება გვქონოდა, ჩვენ რომ ერთმანერთისათვის ხელი გაგვეწოდა ძმურადა და გვეთქვა: „შენ მშვირია შვილის სწავლება და შენც, მესამესაც და მესხესაც, მოდით, თავი მოვუყაროთ ჩვენს დარიბს შეძლებას, ვთქვათ, სამს მანეთს თვეში, მაშასადამე, ას სულს მოსწავლეზედ სამას მანეთსა, და სკოლა დავაარსოთო!..“

მერე, როგორი სკოლა გინდა, რომ არ გაიმართოს სამასის მანეთის შემოსავლით თვეში მოსწავლეთა ამ რიცხვისათვის!? გარდა სიიაფისა, ბევრი სხვა უპირატესობა ექნება ამ სკოლას, მაგრამ უდიდესი მათ შორის ის არის, რომ ის ჩვენი საკუთარი სკოლა იქნება, და რაც საკუთარია, ხომ მოგეხსენებათ, რა ტკბილი და შემრგოა!

დაარსება ასეთის სასწავლებლებისა დიად რომ ადვილი იქნება ჩვენთვის, თუ თავს გმოვიდებთ და, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებისა და მრავალ სხვა კავკასიაში არსებულ საზოგადოებათა მსგავსად, ჩვენ, მშობლებიც, დავაარსებთ „ტფილისის გუ-

---

ძლიერ მცირედ არიან მომზადებულნი და არცა აქვთ ამ საქმის კარგად წაყვანისათვის საჭირო სიდინჯე და გაგებულება. აი, ეს ხდება იმისათვის, რომ რამდენმამე ადამიანმა, რომელთაც არც საქმის ცოდნა აქვთ, არც მიმართულება, არც ცოტაოდ ენი განვითარებული გონება, ხელთ იგდეს რწმუნების ქაღალდები, რათა თავისი ვითომდა ძალა გამოეჩინათ კრებებზედ და საქმე აერიათ. ეს კიდეც შესძლეს, რადგან ამისათვის ჭკუა და გონება, განვითარებული საზოგადოებრივი ალღო არ არის საჭირო. რასაკვირველია, ასეთის საქციელით კიდევ მეტჯერ ვაძლევთ ნებას ჩვენზედ ცუდიც ილაპარაკონ, სთქვან, რომ ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ადრეა იმათის მოუმზადებლობისა გამოო.

ყოველ ამ მოსაზრების გარდა, ჩვენს წვრილმანს მოქმედებას საზოგადო საქმეში პირად ინტერესების გამო ყოველ ადამიანურ თვისების დავიწყებას ის ცუდი შედეგიც მოსდევს, რომ ზნეობრივად ვირყვნებით. ხომ გვახსოვს, რა შფოთი დაჰბადა ყვენს ოჯახებშიაც-კი ქუთათურმა ბანკობანამ; როგორ გაჩნდა ოჯახში მოპირდაპირე და მოწინააღმდეგე მისწრაფება, საზოგადო საქმის გამო გამოწვეული, რაც ძირითადი მიზეზია ოჯახის გაუკუღმართებისა. ამ-გვარად, საზოგადო საქმის ცუდად წაყვანასთან ერთად უკუღმართმა მისწრაფებამ ოჯახის წმინდა კარი შესტეხა და შეარყია ეს ერთად ერთი ბურჯი საზოგადოებისა და კაცობრიობისა. უამასოდაც-კი ჩვენი ოჯახი განა ოჯახია? იმგზავრეთ ცოტაოდენი მაინც ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა ნაწილში, კარგად დაათვალიერეთ და იმ ყოვლად სამწუხარო დასკვნას დაადგებით, რომ ეს ძვირფასი და ერთად-ერთი სანუგეშო თავშესაფარი დღევანდელს გამწვავებულს დროს დიდად შერყეულა და დაზიანებულა.

დღეს ერთად-ერთი ჩვენი მხსნელი და იმედი ჩვენის ეკონომიურად გაუმჯობესებისა მრეწველობაა, რომლისთვისაც, ცოდნის გარდა რაც არა გვაქვს შეძენილი, საჭიროა შეთანხმებული და შეერთებული მოქმედება, პატიოსნად მიმართული, საჭიროა ნდობა და პატიოსნება და ჩვენ-კი არა ვცემთ პატივს, თუ ვინმე ამ მხრით შესამჩნევი გამოგვეჩნდა, თორემ რით ავხსნათ ის უკუღმართი შებრძოლება, რომელიც გაუწიეს ბ-ნს ზდანოვიჩს, იმ ადამიანს, რომელსაც გული შესტკივა ჩვენი საზოგადო საქმისათვის და საკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნაცა აქვს. ოპპოზიცია ყოველთვის კარგია, მაგრამ ოპპოზიცია გონიერი, შეგნებული და არა ბრბოსაგან შემდგარი; ოპპოზიცია ისე ბრმა-კი არ უნდა იყოს, რომ მარტო ერთს ამორჩეულს ადამიანს შესცქეროდეს და სახეში მიღებული არ ჰქონდეს ყოველი გარემოება, არ ადარებდეს უკვე არჩეულს სხვასთან, რომლის არჩევას მოწადინებულია. ოპპოზიციას ზოგიერთ შემთხვევაში თვით დრო და ალაგის ვითარება უნდა ჰზღუდავდეს. ოპპოზიციას, როგორც საზოგადოდ ყოველს ადამიანს, კარგად უნდა ჰქონოდა მოსაზრებული, რომ ქიათურის შავი-ქვის საქმე იმისთანა საქმეა, რომლის წინსვლა მეტად სანატრელია ჩვენში ყველასათვის წოდებისა, ქონებისა და სხვა-და-სხვა მიმართულების განურჩევლად. ჭიათურის შავი-ქვის წარმოებას ის დიდი სარგებლობა მოაქვს, რომ მომეტებულად ჩვენები არიან წარმოებელნი და მუშები. ამას გარდა, მრეწველობა შკოლად ხდება, რომელშიაც მონაწილეობას დიდ ძალი ხალხი იღებს, და დღეს გამეფებულ მრეწველობის დროს ამ საქმეში ჩვენი ვარჯიშობა დიდად სანატრელი და სანუგეშო მოვლენაა. ამასთანავე ეს ერთი საქმე მრავალს კარგს საქმესა ჰბადავს: საზოგადო შემოსავლის ნაწილის გადადება საზოგადო დაწესებულებათათვის, თუნდაც საავადმყოფოს, სასწავლებლებისა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა დაარსება ავიღოთ. ყოველივე ეს იმისთანა საქმეა, რომ მისი შეუგნებელისა და უგულო კაცის ხელში ჩაგდება დიდი ცოდვაა, რადგან ადვილად შეფერხდება და ხელიდანაც ადვილად გაგვიცურდება.

ჩვენში უადგილო ოპპოზიციის უკუღმართობას ის შედეგიც მოსდევს, რომ შეგნებულს და მოწინავე მოღვაწეს გული უცრუვდება და უტყდება ჯერ იმიტომ, რომ ეჭვი ებადება ჩვენში რაიმე საზოგადო საქმის წინსვლისა, და, მეორე, პირადობაც ებღალება. საწყენი არ არის განა, როდესაც წერა-კითხვის მცოდნე ბრბო, რომელსაც ფართო გზა და უფლება მისცემია, მოვა, მოგიგონებს ათას რასმეს, სახელს შეგიბღალავს და ამ გვარად თავისს უკუღმართს ძალას გაგრძნობინებს. მაგრამ დარწმუნებული ვართ, ბ-ნი ზდანოვიჩი ამას არ შეხედავს და თავისებურად მხნედ განაგრძობს იმ საქმეს, რომელიც თითქმის მისგანვეა ფეხზე დაყენებული.

ბოროტებას, როგორც სიცრუეს, დიდი სავალი არა აქვს და ბოლოს გულ უბრყვილო ხალხიც-კი დარწმუნდება, ეს ფარისეველი მოკეთილენი რა ბადეშიაც ახვევენ. გული მით უფრო სტკივა დღეს ადამიანს, რომ ამ ბოროტების ძალით აღჭურვილან ზოგნი არა ბოროტნი, მაგრამ უსწავლელად დარჩენილნი და აი, ეს გარემოება ვერ მოუნელებია იმათს მტკივნეულს თავ-მოყვარეობას. ამ ვაჟბატონებს სწავლის სურვილი დიდი ჰქონიათ, მაგრამ ზოგიერთ მიზეზისა გამო, როგორც ვთქვით, მაღალს სასწავლებლებში სისტემატიური განათლება ვერ მიუღიათ, უპატრონოდ დარჩენილან, შესდგომიან თვით-განვითარებას, მაგრამ ძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნიის მშობელთა ურთიერთთა შემწე საზოგადოებას შვილთა სწავლა-აღზრდისათვის“ — Общество взаимопомощи родителей Тифлисской губерніи для обученія и воспитанія дѣтей ქუთაისის გუბერნია აარსებს ცალკე ასეთსავე საზოგადოებას. ერთი ათად და ასად საჭიროდ და აუცილებელი ხდება ასეთის საზოგადოებისა და სკოლების დაარსება სოფლად მცხოვრებ მშობელთათვის, რომელთაც, ასში ოთხიოდეს გარდა, თითქმის არ იციან რა ჰქმნან და როგორ გამოზარდონ დროს შესაფერად თავიანთი შვილები. ვიმეორებთ, რომ აუცილებლად საჭიროა, საზოგადოდ მშობელთათვისაც ვიქონიოთ ცალკე უწყებული დაწესებულება, რომელსაც, უნდა ებაროს ჩვენთა საუნჯეთა — შვილთა სწავლა-აღზრდის საქმის წლითი წლამდის მოწყო-რიგება, განმტკიცება, გაფართოება და სრულ-ყოფა. უმთავრესი აზრი ასეთის საზოგადოების დაარსებისა ის უნდა იყოს, რომ მან თავი მოუყაროს თვისს გარშემო ყველა იმ მშობლებსა (გლეხთა, ვაჭართა, ხელოსანთა, მასწავლებელთა, მოხელეთა და სხვათა), რომელთაც თვით გარემოება და ცხოვრება აიძულებს იზრუნონ საკუთარის სასწავლებლების დაარსებისათვის, უფრო უმადლესთა ქალაქ ტფილისში და დაბლებისა — მის გარეთ.

ეს გზა ჩვენთა შვილთა აღზრდის საქმეში ბუნებრივია და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დიდის წარმატებით იმუშავებს ჩვენში, ოღონდაც საჭიროა, როგორც ზემოდაც მოვახსენეთ, დავაარსოთ საამისო დაწესებულება — მშობელთა ურთიერთა შემწე საზოგადოება შვილთა სწავლა-აღზრდისათვის. პროექტი ასეთის საზოგადოების წესდებისა უკვე შედგენილი გვაქვს, საჭიროა მხოლოდ მისი განხილვა, მოწონება, ხელის მოწერა და წარდგენა, სადაც ჯერ არს, დასამტკიცებლად.

აი, ამ წესდების განსახილველად ვთხოვთ ტფილისის და მის ახლომახლო მცხოვრებ მშობლებსა და საზოგადოდ ჩვენის მოზარდის თაობის უკეთესის მომავლის მზრუნველთ, მობრძანდნენ კვირას, 15 ღვინობისთვეს, დილის 12 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის სამრევლო სკოლის შენობაში.

იმედი გვაქვს, რომ მოწოდება ჩვენი არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ივანე როსტომაშვილი

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს ამ ჟამად 10,000 მან. აქვს იმ აზრით გადადებული, რომ ამ ფულიდგან განზრახულ სამრევლო სასწავლებლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოების შემდგენელთ პრემია მისცეს. რადგანაც ამის შესახებ განცხადებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ახლა სამინისტრომ თითონ შეუკვეთა გამოცდილ სპეციალისტებს ასეთი სახელმძღვანელოები შეადგინონ და სულ მოკლე ხნის განმავლობაში კიდევაც გამოსცა რამდენიმე სახელმძღვანელო, სწერს „Бирж. Вѣд.“-ი.

ამ ბოლოს დროს რუსეთში ადგილობრივი ქვა-ნახშირი ძლიერ დაძვირდა და ხშირად დიდს ნაკლებულევანებასაც გრძნობენ. ამის გამო, მიმდინარე წლის ოქტომბრიდგან ფინანსთა სამინისტრო საზღვარ-გარეთ გასატან ქვა-ნახშირის ფას დაწეულს ტარიფს სრულიად აუქმებს, როგორც სამხრეთ რუსეთის ნავთ-სადგურებისა, ისე დასავლეთ რუსეთის სასაზღვრო ნავთ-სადგურებისათვისაც.

— რუსეთის რკინის გზათა მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელთა მე-XII მრჩეველს კრებას შუამდგომლობა აღუძრავს რუსეთის რკინის გზათა სამმართველოს წინაშე, რომ ყველა გზებზედ მექანიკური კანტროლი იქმნეს შემოღებული. ამ აზრით კრება ითხოვს ნებართვას, რომ აღნიშნულ საკანტროლო მოწყობილებათა შესაძენად და სახმარებლად საჭირო თანხა პირველ ხნობით იმ ფულიდგან შესდგეს, რომელიც საგანგებოდ ამ აზრით იქმნება ხოლმე გადადებული თითოეულ სამატარებლო ვერსზედ.

— 1902 წ. 8 სექტემბერს შესრულდება ასი წელიწადი, რაც რუსეთში სამინისტროები იქმნა დაარსებული.

— ამ წინაზედ ს. მაიბოროდკაში მომხდარ საზარელ მკვლელობის შესახებ აი რას იწერება „Южн. Край“-ს კორესპონდენტი: „ს. მაიბოროდკას სასოფლო სამმართველოში რომ შევედი, ჩემს თვალს შემდეგი საზარელი სურათი წარმოუდგა. შესავალ კარების მარცხნივ 50 წლის სასოფლო დარაჯი ეგდო, ის-ის იყო მხოლოდ გაციებული. თავი მთლად გაჭეჭყილი ჰქონდა და გაგრძელებული, თითქოს სამჭედურ ჩაქუჩით უცემიათო... კარების მარჯვნივ იატაკზედ ეგდო პოლიციის ათის თავი, 25 წლის კაცი; ამასაც თავი მთლად გაჭეჭყილი ჰქონდა და შუბლის ძვალი რაღაც ბლუნგ იარაღით გაპობილი. მერე, მოსამართლეთა მაგიდის იქით, მდივანზედ ეგდო მწერლის თანაშემწის 17 წლის ახალგაზრდის გვამი; ამასაც რაღაც ბლუნგი იარაღით ჰქონდა თავი გაჩეჩქვილი. კარებიდგან მარცხნივ, მოსამართლეთა მაგიდას იქით, კუთხეში, ფულის ყუთთან მწერლის მეორე თანაშემწის გვამი ეგდო (ესეც 17 წლის ახალგაზრდა). მწერლის ბინის კუთხეში ეგდო მწერლის მესამე თანაშემწის 15 წლის ახალგაზრდის გვამი. მეორე ოთახში, რომელიც მწერალს ჰქონია საძილო ოთახად, მდივანზედ ეგდო 25 წლის ქალი, ცოლი მწერლისა; ამასაც თავი გაჩეჩქვილი ჰქონდა და ზურგს, მუცელს, გვერდებს და გულზედ ნაცემობისა და ჭრილობის ნიშნები ეტყობოდა. მაგრამ ქალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ქალი მხოლოდ იმ დღეს გარდაიცვალა, საღამოს ჟამზედ. მწერლის ცოლს გვერდით, ხის აკვანში იწვა ორის წლის ბავშვი; ბავშვსაც თავი ჰქონდა გაჩეჩქვილი. უთუოდ ამ ხოცვისა და წიოკობის დროს გაუღვიძნია და ტირილი დაუწყვია, და მოუკლავთ მისთვის, რომ ხმაურობაზედ არავინ მისულიყო. იქით, ცოტა მოშორებით, თითონ მწერლის გვამი ეგდო. მწერლის გვამის წინ ხატი იყო დასვენებული. როგორც სჩანს, ვიდრე მოჰკლავდნენ, უჯიცებიათ, რომ არ დაემალა, ყუთში რამდენი ფული იყო და ბევრიც უწვალებიათ. მარტინიხკას წვივები და სადსრები დამტვრეული აქვს. ეტყობა, ბოროტ-მომქმედთ არ დაუჯერებიათ, რომ ყუთში მხოლოდ 1,000 მან. იყო შენახული. ბოროტ-მომქმედთ მხოლოდ ქაღალდისა, ოქროსი და ვერცხლის ფული წაუღიათ და შავი ფულისათვის (სამ მანეთამდე ყოფილა) ხელი არ უხლიათ. საძილოს გვერდით სამზარეულოა; ერთი კარები ეზოდგან შედის ამ ოთახში, მეორე საძილო ოთახიდგან. სამზარეულოში მთლად სისხლში სცურავდა მწერლის მოსამსახურე ქალი 18 წლისა; მართალია, ესეც ძალიან ნაცემი და დაჭრილია, მაგრამ იმედია სიკვდილს გადარჩეს. ამ ცხრა მოკლულ და ერთ დაჭრილ ადამიანის გარდა სამმართველოში ერთი სხვა პოლიციის ათის თავიც ყოფილა, 21 წლისა, მაგრამ საღამოთი, 9 საათზედ, მწერალს დაუთხოვნია ქუჩაში, სტუმრად და მხოლოდ დილის 3 საათზედ დაბრუნებულა, როდესაც ყველაფერი გათავებული ყოფილა. ეჭვი აქვთ, რომ ეს ათის თავი აღრევე მოუსყიდნიათ. იგი ამ ჟამად დაპატიმრებულია. ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად ყოველივე ღონისძიება მიღებულია“.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ჩინეთის საქმეების ვითარების შესახებ გაზ. „Central News“-ი სწერს: „ოფიციალური დეპეშები ჩინემთავრობასთან ეხლა პირდაპირ სინანფუში იგზავნება. შესაძლებელია იმპერატორმა, ვიდრე ამ სატახტო ქალაქში ჩავიდოდეს, ახალი ედიქტები გამოსცეს. იმპერატორი, იმპერატრიცა და კარისკაცნი, როგორც შანხაიდგან იუწყებიან, 29 სექტემბერს გო-პაუში იყვნენ. „თავებ მოკვეთილი“ წინამძღოლნი მოკრივეებისა მშვიდობიანად იმპერატრიცას მისდევენ და თავიანთ რჩევა-დარიგებას არ აკლებენ. ჩინური გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ევროპასა და ამერიკაში მყოფმა ჩინეთის ელჩებმა 2 ოქტომბერს საერთო მოხსენება გაუგზავნეს იმპერატორს და სთხოვეს დამნაშავე მოხელეთა დასჯა. მოხსენებაში თვით ამ მოხელეთა გვარებიც არის ჩამოთვლილი, მაგრამ ეს ამბავი გაზეთების სიტყვით ძნელი დასაჯერებელია. ყოველს შემთხვევაში, თუ ელჩებმა მართლა გაჰგზავნეს ასეთი მოხსენება, იმპერატრიცა აინუნშიაც არ ჩაიგდებს და ისე მოექცევა, როგორც მრავალს სხვა ამგვარ მოხსენებას მოექცა. იანქს მადამოებში აჯანყება არა სცხრება. ედიქტში, რომლითაც დასჯილ იქმნენ მოკრივეთა წინამძღოლნი, იმპერატორი დიდს სინანულს აცხადებს კეტტელერის მოკვლისა და მოკრივეთა მოძრაობაში საიმპერატორო გვარის წევრთა მონაწილეობის მიღებისა გამო“.

— ნემეცურს გაზეთებში გამოქვეყნებულია შინაარსი იმპერატორის იმ ედიქტისა, რომლითაც იგი აუწყებს ყველას სინანფუს სატახტო ქალაქად არჩევის შესახებ. მათის უდიდებულესობათა გადასახლების მიზეზი ტაი-ან-ფუდგან ის იყო, რომ ამ პროვინციაში ცხოვრება მეტად ძნელია. ხანგრძლივის გვალვის გამო ნათესობა თითქმის სულ გახმრდა პროვინციაში და სურსათის შოვნა ძნელია. ტაი-ან-ფუს პროვინციის სატახტო ქალაქი დაცარიელდა. ვაჭრები და მრეწველნი წავიდნენ ქალაქიდგან იმ არეულობათა გამო, რომელთა მიზეზიც გუბერნატორი იუ იყო. ამის გამო მათნი უდიდებულესობანი იძულებული გახდნენ შანსიში გადასახლებულიყვნენ. ეს პროვინცია ტელეგრაფითაა შეერთებული შანხაისა და იმპერიის სხვა ქალაქებთან, ამიტომ აქედგან უფრო ადვილია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ვიდრე ტაი-ან-ფუდგან. პეკინში იმპერატორი და იმპერატრიცა ჯერ ვერ დაბრუნდებიან, რადგანაც იქ ამ ჟამად სახელმწიფოთა დიდ-ძალი ჯარია და ამას გარდა, შეიძლება სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და სენიც გაჩნდეს იქ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკება მშვიდობიანად გათავდება“.

— როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჩინელებს ძალიან გაუხარებია იმ გარემოებას, რომ სახელმწიფონი ვერ მორიგდნენ, ჯარი გაიყვანონ პეკინიდგან თუ იქ დასტოვონ. სახელმწიფონი ამ საგნის განხილვის დროს ორ ბანაკად გაიყვნენ. რუსეთმა, იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტეს გაიყვანონ ჯარი და კიდეც გაიყვანეს. სამაგიეროდ ინგლისმა, გერმანიამ და საფრანგეთმა პეკინშივე დასტოვეს თავიანთი ჯარი, რომელიც მგონი ამ ზამთარსაც იქ აპირობს დარჩენას. სახელმწიფოთა ესეთმა უთანხმოებამ ძალიან

---

ვერ შესწავლენიათ და ისევ განუვითარებელნი დარჩენილან. მტკივნეული თავ-მოყვარეობა ტოკავს, სცდილობს თავის გამოჩენას და ხშირად ეს ცდა და სურვილი უკუღმართს საქმეში აჩენინებს თავს. მაგრამ სასიამოვნო ის არის, რომ ხალხი არ თანაუგრძნობს და თუ თანაუგრძნობს, ეს თანაგრძნობა ძლიერ მოკლე ხნისაა, რადგან ამ მართლა აზირებულ ვაჟბატონების ძახილი, რომ ხალხის გულის ტკივილით ვითომდა სულსა ჰლევენ, გულწრფელი არ არის და გულთა მხილავი ხალხი მალე იგრძნობს ამ ძახილის უგულწრფელობას.

თუმცა ხალხის ალღო მართლა საიმედო და უტყუარი ბურჯია, მაგრამ მაინც სამწუხაროდ უნდა ჩავთვალოთ ის მოვლენა, რომ როდესაც რეგრესიული დასი ყოველს ღონეს ხმარობს, რათა თავისას მიაღწიოს, პროგრესიული დასი, რომელსაც ხალხის უმწიკვლო წარმომადგენელნი შეადგენენ, და თვით აზრისა და სამართლიანობის მიმდევარი რიცხვით ცოტაოდენი ჩვენი ინტელიგენცია, რაღაც უგულოდ ეკიდება საქმეს. როგორც ნამდვილად აღმოჩნდა, არჩევნების დროს რამდენიმე თეთრი კენჭი (12) დაეკარგა თურმე ბ-ნს ზდანოვიჩს, რადგან ეს კენჭოსნები სადღაც წავიდნენ არჩევნების დროს საკუთარის საქმის გამო და ამ გვარად მეტი ძალა მიანიჭეს უკანონოდ მომქმედ ოპპოზიციას, რომელმაც მომაკვდავი კაციც კი არ დაზოგა, ოღონდ შავი კენჭი ჩაეგდო ბ-ნ ზდანოვიჩისათვის. ეს პასსიური ხასიათი ჩვენის მოწინავე საზოგადოებისა მართლაც რომ სამწუხაროა. წრევანდელმა კრებებმა და წარსულმა სათავადაზნაურო კრებებმაც საკმარისად უნდა გვასწავლოს ჭკუა, რომ ასეთი საქციელი შეუწყნარებელი და მიუტევებელია იქ, სადაც მოწინააღმდეგე ძალა არავითარს საშუალებას არა ზოგავს, არც პატიოსნებას აქცევს ყურადღებას, არც ცილის-წამებას თაკილობს. ამ კრებებმა უნდა გამოაფხიზლოს ყოველი ჟურნალ-გაზეთი, რა მიმართულებისაც უნდა იყოს, უფრო მოძრავი და შეთანხმებული უნდა შეიქმნას ჩვენი შეგნებული საზოგადოება, თუ უნდათ ჟურნალ-გაზეთებს პატიოსანი ორგანოს სახელის დამსახურება და საზოგადოებას — თვისის სიცოცხლის მაჩვენებელ თვისებათა გამოჩენა. პრესსა მით უფრო უნდა იყოს საზოგადოების წინმსვლელობის დარაჯად, რომ ხალხში დღეს საბედნიეროდ იმგვარი მკითხველი დაიბადა, რომელსაც სწყურია გონების განვითარება და ჭეშმარიტების გზაზედ დადგომა. თუ პრესსა თითონვე პატიოსანის მიმართულების მქადაგებელია და თან ფხიზელიც არის, ადვილია ამ გვარის მკითხველების გაფრთხილება და მათთან შეკავშირება საზოგადო საქმის ბედის საკეთილოდ გადასაწყვეტად. ერთი მეორეს საქვეყნოდ გარჩევა და გაჩხრეკა ბრძოლის დროს, როდესაც უკუღმართი მიმართულება ისედაც განხეთქილებასა სთესავს, ისედაც ცილის მწამებელია, უდროვოა, და უადგილო, გამარჯვების შემდეგ-კი საჭიროა მიუდგომელი სამართლიანი კრიტიკა ერთის მიმართულების მიმდევართა შორისაც-კი.

მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება საზოგადო საქმის რიგიანად წარმართვა. სასიამოვნო მოვლენად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი, როგორც შავი-ქვის მწარმოებელთა კრებამ გვაჩვენა, ძლიერ კარგად სარგებლობს იმ ალღოთი, რომელიც განუვითარებია ხანგრძლივ სოციალურ ცხოვრების წყალობით და რომელიც უფრო უკეთესი მასწავლებელი და ხელმძღვანელია, ვიდრე ეხლანდელი ცრუ გულ-შემატკივარი ვაჟბატონები არიან. სასიამოვნოა, რომ ხალხი კარგად იყენებს ამ ღვთაებრივ თვისებას და ეხლანდელ ჩვენებურ ცრუ ინტელიგენციას ხშირად გაურბის. ეს დაამტკიცა თვალ-საჩინოდ ბ-ნ ზდანოვიჩის გამარჯვებამ, რაიცა მართლაც შედეგი იყო ხალხის გამოფხიზლებისა, მისის ღვთაებრივ ალღოს გამოღვიძებისა, თუმცა ოპპოზიციამ წარმოუდგენელი ვერაგობა ჩაიდინა. არც ისე ძნელად წარმოსადგენია ხალხისა და ნამდვილ ინტელიგენციის განუყრელად შეკავშირება, რადგან მათ შუა მხოლოდ ერთი მოკლე, მაგრამ ძნელად სავალი გზა არის, რომელსაც ზედ პატიოსნება და სიმართლის მხურვალე სიყვარული აწერია; პატიოსნება და სიმართლის მხურვალე სიყვარული შეადგენენ ყოველის ერის კუთვნილებას, რომლის მომავალიც მართლა საფუძვლიანი და კულტურის მქონეა. ეს თვისებანი ყველას საგძალია, ვისი სურვილი და საგანიც ნამდვილ ინტელლინგენტად გადაქცევაა. ბედნიერია ის, ვინც ამ გზას არ გადასცდება და გზის სანათად პატიოსნებასა და სიმართლის მხურვალე სიყვარულს წარიმძღვარებს; მხოლოდ იგია ნამდვილი ინტელლიგენტი და თან თვით ხალხის საყვარული შვილიც... უბედურია ის, ვინც ამ გზაზედ პირდაპირ არ მიდის, ბორძიკობს სიარულის დროს, ხან იქით გადუხვევს, ხან აქეთ. ის ვერ გახდება ინტელლიგენტად და არც ხალხთანა აქვს რაიმე კავშირი, ამისათვის ჩვენის ხალხის კარგად ცნობილი მისწრაფება ნამდვილის განათლებისაკენ, ნამდვილი ინტელლიგენტისაგან ხალხის სიყვარული ფიქცია როდია, ეს თვით ცხოვრების სინამდვილეა. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ძნელია ეს გზა-სავალი. წინ-მსვლელს თან მემკვიდრეობით შედუღებული პატიოსნება, სიმართლის სიყვარული და საზოგადოდ მდიდარი ბუნება უნდა ჰქონდეს. ამ გზაზედ მრავალნი არიან წვეულ, მაგრამ, სამწუხაროდ, მცირედნი რჩეულ.

ე. ვაშაკიძე

ადათვრთოვანა ჩინელნი. იმედი აქვთ, სახელმწიფონი ბოლოს ვერ გაიტანენ და ჩინეთის ნაცვლადა ერთმანეთს დაეჯრევიან.

**ინგლის ტრანსვაალის ომი.** ევროპიელნი მეგობარნი ბურების მთუთმენლად მიელიან ევროპაში ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს. იმედი აქვთ, კრიუგერი, ეს სამშობლოსათვის თავდადებული მოხუცი, მოულბობს გულს სახელმწიფოებს და ტრანსვაალის სასარგებლოდ ხმას ამოაღებინებს. დღევანდელმა დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ კრიუგერი გემში ჩამჯდარა და წასულა ევროპისაკენ. შეუძლებელია, რომ კრიუგერის მგზავრობამ მართლაც რამე სარგებლობა მოუტანოს ტრანსვაალს, მით უმეტეს, რომ თვით ინგლისში ბევრნი არიან ტრანსვაალის თავისუფლების მომხრენი და თუ მარჯვე შემთხვევა მიეცათ, ეცდებიან ბურების გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოუვანას. აი, რასა სწერს ინგლისური გაზეთი „Morning Leader“-ი: „ხვალ (ეს წერილი 29 სექტემბერსაა დაბეჭდილი) მეორე წელიწადი იწყობა მას შემდეგ, რაც ინგლისსა და ტრანსვაალს შორის ომი იქმნა გამოცხადებული და ამ სამარცხვინო საქმეს-კი ჯერეც დასასრული არ უჩანს. ჩამოთვლაც-კი შეუძლებელია იმ უბედურებათა, რაც ამ სამარცხვინო ომს მოჰყვა; მაგრამ ამისდა მიუხედავად და ჩვენდა სამწუხაროდ, დამნაშავენი, ომის დამწყობნი ისევ სახელმწიფო საქმეების მმართველ-გამგეებად რჩებიან. მათვე უნდა დაამთავრონ ის, რაც დაუმთავრებელი დარჩათ და ამ რიგად უბედურება გაათავონ. მომავალი ვერაფერ სანუგეშოს ვერ გვიქადის. ან კი როგორ უნდა გვიქადდეს სანუგეშოს, როდესაც ასე უსამართლოდ ვიქცევით: დავპირდით ბურებს თავისუფლებას, ხოლო მტარვალობით-კი სულს ვაძრობთ“.

## ქართული საერო მუსიკა

ჩვენი ქვეყანა, რაც დრო და ხანი გადის, თანდათან თვალ საჩინო ნაბიჯით მიდის წინ სწავლა-განათლების საქმეში, მაგრამ იგივე არ გვეთქმის ჩვენის ქართული მუსიკის შესახებ, რომელიც ლამის არის ჩვენის დაუდევრობისა გამო, გაჰქრეს. ამ ოცისა თუ ოც-და ხუთის წლის წინად ჩვენი საერო მუსიკა დიდს ხმარებაში იყო. ყველა შემთხვევა ცხოვრებაში: ქორწილი, ლხინი, სიყვარული, მუშაობა, მგზავრობა და ყველაფერი სიმღერით იყო დამშვენებული, რომელიც ხალხის სულსა და გულს ატკბობდა. ახლა-კი აღარ ისმის მძლავრი ჰექა ხმათა ლაშქრობისა, რომელიც დამოუკიდებლობასთან ერთად დავკარგეთ, აღარ ისმის ხმა ყანურისა, ნადურისა და სხ. ახლა აღარ ისმის ძველი ტკბილი ღიღინი, ჩონგურსა, თარსა და ქიანურზედ შეწყობილი და, თუ ისმის მხოლოდ აქა-იქ, ძველ თავად-აზნაურთა ოჯახებში, რომელთაც შეუბღალავად შეუნახავთ ნამდვილი ქართული კილო. სამაგიეროდ ნამდვილ ქართულ სიმღერისა ისმის: გულიმჯან, სულუმგულუმ, ქორიმე, შეეჩვია, სულიკო, ბუზიკა და სხ. ქართული მუსიკის შემცირება თუმცა-ღა დღეს-დღეობით დიდად საგრძნობელია, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ იქამდის არ მისულა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი და იყოს. ჯერ კიდევ ბევრია სიმღერები, რომლებიც არ დაკარგულან, მაგრამ ხმარებიდგან-კი გამოსულან. ბევრი მოიძებნა და დაიწერა კიდეც ნოტებზედ; ცოტაოდენი დაბეჭდვასაც ეღირსა, მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა მათი გაცნობა შესწავლა, კარგი დასის შედგენა და დაარსება. ტფილისში, სადაც საქართველოს ყველა კუთხის ხალხი მრავალია, არა თუ უბრალო დასის ეტნოგრაფიული დასის შედგენაც მოსახერხებელია. რა საინტერესო, რა სასარგებლო და რა სასიამოვნო იქნება ეტნოგრაფიული დასი და მისი კონცერტი, ამისი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, რადგანაც ყველასათვის ცხადზედ უცხადესია. და სწორედ დიდი სირცხვილია, რომ ტფილისში ერთი კარგი ქართული დასი არ არსებობს. ხმით, სმენითა და ნიჭით ქართველი ხალხი ბუნებითვე დაჯილდოვებულია, მაგრამ სურვილი და სიყვარული ჩვენის საერო მუსიკის შესწავლისა და ცოდნისა სრულიად არა გვაქვს. როდესაც აგერ ვვერდით მეზობლები, სხვატომისანნი, რომელთა მუსიკაც ჩვენს მუსიკასთან შედარებით გაცილებით დაბლა დგას, სცდილობენ, სწავლობენ და ანვითარებენ თავიანთ მუსიკას, ჩვენ გული გვტკივა, მაგრამ ტკივილს წამალი უნდა მოვუძებნოთ. შეიძლება ეს ჩემი მოწოდება უდაბნოსა შიგან მღაღადებლის ხმად დარჩეს, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და მივმართავ ორთავე სქესის ქართველს ახალგაზდობას და ვურჩევ შეისწავლონ თავიანთის ერის სიმღერა და მუსიკა, შევადგინოთ სამაგალითო დასი, გავარცელოთ, განვავითაროთ და ჩვენი საერო მუსიკა მტკიცე ნიადაგზედ დავაფუძნოთ, რომელიც დიდს სარგებლობას მოიტანს. მივმართავ აგრეთვე ქართველ ახალგაზდა მუსიკოსებს და ვთხოვ, თუ ესეთნი მოიპოვებიან ტფილისში, შევიკრიბნეთ, შევიმუშაოთ ნედლი სამუსიკო მასალები, რომელიც საკმაოდ ბევრია შეკრებილი, და ხმარებაში შევიტანოთ. ვთხოვ, ვინც ამ საგნის შესახებ მოლაპარაკებას ან აზრის გაზიარებას მოისურვებს, ამ ადრესით მომმართოს: ფილიმონ ქორიძე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქოევისა, შესავალი არშაკუნის ვიწრო ქუჩიდგან მარცხნივ, ნიკიტ. ცირკის გვერდით, ბინა, № 3.

ფ. ქორიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ინგლისელები დიდ სიხარულს მიეცნენ: კრიუგერის შლიაპა და ჩიბუხი იმათ ხელშია. თვით კრიუგერი რომ ვ ღარ ჩაიგდეს ხელთ, ინგლისელები ამ ჩიბუხითა და შლიაპით კმაყოფილდებიან. ეს ძვირფასი ნივთები ვინმე სტივენსისა აქვს. ნამდვილი ისტორია ამ ნივთებისა არავინ იცის, მაგრამ დარწმუნებულნი-კი არიან, რომ ჩიბუხიცა და შლიაპაც მოხუცის პრეზიდენტის ნაქონია. ამას წინად ძვირფასის ნივთების სანახავად ჟურნალისტი და მხატვარი ყოფილან სტივენსთან. პირველმა გაზეთში აღწერა ჩიბუხი და შლიაპა,—ხოლო მეორემ სურათი გადაიღო. ჟურნალისტმა გაზეთის რამდენიმე სვეტი მოანდომა ამ აღწერას. სხვათა შორის იგი ამბობს, რომ ასეთ შლიაპას ჩვენებური მეეტლეც-კი არ ატარებსო; რამდენგანმე შლიაპას ნახვრეტები აქვს თურმე; შიგნიდგან კარანდაშით პრეზიდენტის გვარია დაწერილი თვით კრიუგერისავე ხელით. ამისდა მიუხედავად ნივთებს მრავალი მუშტარი აღმოუჩნდა. ამ დღეებში საჯარო ვაჭრობაა დანიშნული და, როგორც ამბობენ, სტივენსი დიდ ფულს აიღებს თურმე ამ ძველ ნივთებში.

* * *

ამერიკის მთავრობის სასტატისტიკო ბიურომ საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა ამერიკის დიდის ქალაქების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, ამერიკაში ისეთი ქალაქი, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც 100,000 სულს აღემატება, 30-ია ერთად ამ ქალაქებში $13^1/_2$ მილიონი სული სცხოვრობს, ე. ი. მთელის სახელმწიფოს მცხოვრებთა მეექვსედი. 1890 წელს ასეთი ქალაქი 28 იყო. აქედგან ერთი, სახელდობრ ბრუკლინი, გაჰქრა, რადგანაც ნიუ-იორკის ნაწილად გადაიქცა. ახალი ქალაქები-კი, რომელთა მცხოვრებნიც 100,000 მდე ავიდნენ, ესენია: კოლუმბუსი, ტოლედო და პატერსონი.

* * *

როდესაც მეფკინგს ბურებმა ალყა შემოარტყეს, ქალაქში მეტად ცოტა ფული აღმოჩნდა და მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. ამის გამო პოლკოვნიკმა ბადენ-პოუელმა მოიწადინა ქაღალდის ფულის გადაბეჭდვა და იმათი გავრცელება; მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქში ლიტოგრაფია არ აღმოჩნდა, ამიტომ ფოტოგრაფიის შემწეობით შეუდგნენ ფულის კეთებას. თვით ბადენ-პოუელმა დახატა ქაღალდის ფული, რომლიდგანაც მოამზადეს 5 ნეგატივი და დაიწყეს ბეჭდვა. თუმცა ეს ახალი ფული მეტად უშნო ყოფილა, მაგრამ ხალხი მაინც სიამოვნებით ეტანებოდა. სულ 500 ცალი ასეთი ქაღალდი გამოუცია ბადენ-პოუელს.

* * *

ვინ არ იცის, რა მავნე სენია ალკოგოლიზმი. დიდი ხანია ალკოგოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუდგნენ, მაგრამ თვალსაჩინო ნაყოფი ამ ბრძოლამ მაინც ვერ მოიტანა. ზარალი-კი ალკოგოლიზმისაგან მეტად და მეტად დიდია. ცნობილმა მეცნიერმა ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორმა ბუნგემ ამას წინად ერთი საყურადღებო მოხსენება წაიკითხა. მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროს ბევრს — შეჰხვდებით ისეთ ქალს, რომელსაც რძე არა აქვს შვილის გამოსაკვებად. პროფესორი ბუნგე ამტკიცებს, რომ რძის უქონლობა ალკოგოლიზმის შედეგიაო. პროფესორის სიტყვით, ამ შემთხვევაში არავითარი გავლენა არა აქვს დედაკაცზედ მემკვიდრეობით გადაცემულ სხვა სენს, როგორც, მაგალითად, ჭლექს, ნერვებისა და სულიერ ავადმყოფობას. პირიქით, დედაკაცს, თუ მამა ან დედა ალკოგოლიკი ჰყოლია, რძე ეკარგება. ბუნგე ურჩევს ახალგაზდებს, ერიდნენ და არ შეირთონ ცოლად ლოთებისა, ალკოგოლიკების ქალები. პროფესორი ბუნგე 26 წელიწადია, რაც ამ საქმის გამოკვლევას ადგია და იმის სიტყვას, ეჭვი არ არის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ოქტომბერი

**შანჰაი.** ჩინელმა მოხელემ, რომელიც ორშაბათს შანსიდგან მოვიდა, სთქვა, რომ პრინც ტუანს ძალიანა ჰყავს ქვრივი იმპერატრიცა დაშინებული და რასაც უნდა, იმას აკეთებინებსო. შემდეგ მოხელემ განაცხადა, ჰფიქრობენ, რომ ტახტის მემკვიდრე პუცუნი, ტუანის შვილი, მკვდარიაო.

ხმა გავრცელდა, რომ ლიხუნგჩანგის პაოტინფუს დათმობისათვის ხელ ახლა ჩამოერთვა თანამდებობა და ხარისხიო.

**შანჰაი.** უცხო-ქვეყნელთა ელჩებმა გუშინ პროტესტი განაცხადეს ჯარის უფროსების მოქმედების გამო. უფროსებმა ამას წინად ალლუმი გამართეს თოფხანის მახლობლად საზღვარს გარეთ, და ამით ხელშეკრულება დაარღვიეს. ვიცე-კოროლებმა გადასწყვიტეს, შემდეგში რამდენადაც შესაძლებელია მოერიდონ ამ გვარ ალლუმს.

**ლორენცო მარკეზი.** პრეზიდენტი კრიუგერი დღეს გადავიდა გემს „გელდერლანდ“-ზედ.

**ტიან ძინი.** იმპერატორი, ორივე იმპერატრიცა, ორი სხვა ცოლი იმპერატორისა და პრინცის კინგის მთელი ოჯახობა სინანფუში არიან. ის გარემოება, რომ იმპერატორი პეკინში არ არის, სამშვიდობო მოლაპარაკებას დააგვიანებს.

ლიხუნგ-ჩანგი უკმაყოფილებას აცხადებს პაოტინფუში ჯარის გაგზავნის გამო.

**პეკინი.** 3 ოქტომბრის ნოტაში, რომელიც ლიხუნგ-ჩანგმა და ცინმა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადასცეს, სხვათა შორის, ჩინეთის მხრივ მწუხარებაა გამოთქმული უკანასკნელ დროს მომხდარ ამბების გამო და დაპირება, რომ ასეთი ამბები არასოდეს არ განმეორდებაო. ისინი თხოულობენ, რომ მოლაპარაკების დასაწყებად მთავარ საგნების შემუშავების შემდეგ ნება მიეცეს ძუნგ ლი იამენს განაახლოს მოქმედება. შემდეგ შუამდგომლობენ, რომ ჯილდოს შესახებ საქმის გამორკვევის შემდეგ უცხო-სახელმწიფოთა ჯარი გაყვანილ იქმნას პეკინიდგან.

ჩინეთის საზოგადოება ძალიან შეფიქრიანებულია დინასტიის საწინააღმდეგო მოძრაობით კანტონის მახლობლად.

7 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: პაპის წინაშე მყოფს მინისტრ-რეზიდენტს ჩარიკოვს უბრძანა საგანგებო ელჩად და უფლება მოსილ მინისტრად ყოფნა სერბიის მეფის წინაშე.

**ვენა.** „Politische Correspodenz“-ს შეუტყვია, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ იაპონიის წინადადება, რომლითაც იმისათვის, რომ აჩქარდეს და გაადვილებულ იქმნას მოლაპარაკება ჩინეთის უწესოებათა მოსპობის შესახებ, უნდა დაევალოს დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს პეკინში ერთობლივად იმოქმედონ ჩინეთის რწმუნებულ ერთან მოლაპარაკების დროსაო. ეს აზრი მოსწონთ, რადგან პოლიტიკურად იგი დიდს სარგებლობას წარმოადგენსო.

**გონკონგი.** მანდარინი სამშუე იუწყება, რომ ადმირალი ხო თავს დაესხა მამბოხეთ, რომელთაგანაც ასი მოკლულ იქმნაო. მეამბოხეებმა უკან დაიწიეს აღმოსავლეთის მდინარის ჩრდილოეთისაკენ. როგორც კანტონიდგან იცნობებიან, ამბოხება ბევრს მომხრეს ჰპოულობს აღმოსავლეთ მდინარეს ახლო-მახლო. იგი დიდს მანძილზედ ვრცელდება და ტაიპინგების ამბოხებას ემსგავსება. მისსიები სულ უხლებლად არის დატოვებული.

**ლონდონი.** გენერალ გეზლისაგან მიღებული დეპეშა 1 ოქტომბრის თარიღით ჩუოჩუოუდგან იუწყება, რომ ქვეყანა მშვიდობიანად არისო; მცხოვრებნი მეგობრულს დამოკიდებულებას გვიწევენ; ჩინეთის მუდმივი ჯარი უკან იწევს; სურსათი მოჭარბებით მოიპოვება; ადგილობრივი მთავრობა შესაძლებელს ცდას არ აკლებს, რათა „დიდი მუშტი“ უძლურ ჰყოს.

გენერალი კემპბელლი, რომელიც პაოტინფუს წინააღმდეგ ტიანძინის მხრივ გენერალ გეზლის ექსპედიციასთან ერთად ჰმოქმედობს, იუწყება 30 სექტემბრის თარიღით,—რომ ტინლინში მივედით. ყველგან მშვიდობიანობაა; ჯარი ჯან-საღად არის; სურსათი საკმაოდ გვაქვს. შემდეგ იგი იცნობება, რომ 1 ოქტომბერს ზანდზიაკოუს მივაღწიეთ. გზის პირველის ნაწილის გავლა გასაჭირი იყო ხშირის წვიმებისა გამო; მკვიდრნი სურსათს მოჭარბებით იძლევიან. 2 ოქტომბერს მივედით შემაგრებულ ქალაქ მოჩჟოუმდე და ტყვედ დავიჭირე ოცი ცხენოსანი წევრი „დიდის მუშტისა“ წამოვასხი მრავლად ჯორები და ცხენები. ჯარი ჯან-მრთელად არის; სურსათი მოჭარბებითა გვაქვს. 4 ოქტომბერს რაზმი შან-მანროში მივიდა. ყველგან მშვიდობიანობა. ჩინეთის ცხენოსან ჯარის 2,000 კაცმა სამხრეთისაკენ დაიწია წინააღმდეგობის გაუწევლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ონ ს უფასო სამკითხველოს მზრუნველს ქ-ნს ანნა ხარაძისას, რომელმაც ამ წარსულს ზაფხულს წარმოდგენების გამართვითა და სამკითხველოს სასარგებლოდ ფულების შეგროვებით მრავალი ღვაწლი დასდვა სამკითხველოს; აგრეთვე პარმენ დავითის ძეს გამყრელიძესა და ყველა იმათ, რომელთაც დიდად იზრუნეს ონის სამკითხველოს წარმატებისათვის.

სამკითხველოს გამგე მღვდელი
ნ. მინდელი

## განცხადებანი

მღვდელი ილია და ძმები: ზაქარია, დავით, ალექსი და ვასილი ნიკოლოზის ძენი დეკანოზიშვილები და დარია დავითის ასული, მარიამ სოლომონის ასული, ელი აბელ კონსტანტინეს ასული, ელისაბედ ეგნატეს ასული და ნინო გაბრიელის ასული დეკანოზიშვილები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი საყვარელის დედისას, ხოლო მეორენი დედამთილისას,

ნინო გიორგის ასულის დეკანოზიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. რუსში მიცვალებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად შაბათს, 10 ოქტომბერს. (2—204—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე